ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 63

19 ნოემბერი, 2021 წელი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

13:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელი.

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

თინათინ ნიბლოშვილი

ანა ლაშხი

გულია გოცირიძე

ზაზა მამალაძე

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებს:

სხდომის დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.
2. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ვერის ბაღში მდებარე ჭადრაკის სასახლისთვის ნონა გაფრინდაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარესთან ერთად მოისმინეს დღის წესრიგით წარმოდგენილი საკიტხები და გამოთქვეს მოსაზრებები.

მიხეილ ამაშუკელის ინფორმაციით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ შეისწავლა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მერის #12-032131941-03 წერილი), რომლის მიხედვითაც თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის შემოსულობები განსაზღვრულია 1 199 917, 0 ათასი ლარით, რაც 2021 წლის ბიუჯეტის თავდაპირველი პროექტის შემოსულობებთან მიმართებაში გაზრდილია 14961,5 ათასი ლარით. წარმოდგენილი პროექტით 2022 წლის თბილისის მუნიციპალიუტეტის ბიუჯეტი პროფიციტულადაა დაგეგმილი.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ, ბიუჯეტის პროექტის დამუშავებისას განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებებზე (პროგრამული კოდი 02.09.01) გათვალისწინებულ თანხებზე და ღონისძიებების უზრუნველყოფაზე (02.07).

კომისიის მიერ საფუძვლიანად იქნა შესწავლილი 02.09.01 პროგრამული კოდის ის ღონისძიება, სადაც საუბარია ქუჩების ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრების

მონტაჟისთვის გამოყოფილ თანხებზე, ხსენებული სამუშაოებისთვის წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია 500 000 ლარი.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში შენობა-ნაგებობებისა და გეოგრაფიული ობიექტების აღმნიშვნელი აბრების მონტაჟის კუთხით მნიშვნელოვანი პროგრესია.

2018-2021 წწ. დაახლოებით 40 000 მისამართზე განხორციელდა აბრის მონტაჟი, გეოგრაფიული ობიექტების აღმნიშვნელი დგარიანი აბრა განთავსდა დაახლოებით 500 ლოკაციაზე. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინფორმაციით თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ, ბაზარზე არსებული ფასების ცვალებადობის გათვალისწინებთ, ხორციელდება ერთეული აბრის შესყიდვის მიზნით ფასის კვლევის პროცესი. 2021 წლის ტენდერით ერთეული აბრის დამზადება-მონტაჟის სახელშეკრულებო ღირებულება 60 ლარია. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია ვარაუდობს, რომ 2022 წელს ერთეული აბრის დამზადება-მონტაჟის სახელშეკრულებო ფასი მოიმატებს, რაც ბუნებრივად გამოიწვევს 2022 წელს განთავსებული აბრების რაოდენობის შემცირებას. წარსული მძიმე მემკვიდრეობისა და იმის გათვალისწინებით, რომ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ათასობით შენობა-ნაგებობა კვლავ აბრის გარეშეა, განსათავსებელ აბრათა რაოდენობის შემცირება კომისიას მიზანშეუწონლად მიაჩნია. ასევე აღსანიშნავია, რომ სახელდებისა და სიმბოლკის კომისიის ინიციატივით აქტიურად მომდინარეობს მუშაობა ისტორიული და კულტურული ღირებულების მატარებელ ქუჩებზე და შენობა-ნაგებობებზე თბილისში გასულ საუკუნეში მისამართის აღსანიშნავად გამოყენებული ე. წ. „სანათიანი აბრის“ დამზადების პროექტზე, წინასწარი სავარაუდო დათვლებით ერთი ერთეული ხსენებული აბრის დამზადების საბაზრო ღირებულება მერყეობს 300 ლარის ფარგლებში. კომისია მიიჩნევს რომ მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ზემოთ ხსენებული არგუმენტები და 2022 წელს აბრების დამზადება-მონტაჟის სამუშაოებისთვის გათვალისწინებული თანხები (02.09.01)უნდა გაიზარდოს 750 000 ლარამდე.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ სახელდებისა და სიმბოლკის კომისიის ინიციატივით 2020 წელს დაიგეგმა თბილისის საკრებულოს შენობაში დიმიტრი ყიფიანის ბიუსტის, ხოლო ზვიად გამსახურდიას სანაპიროზე პრეზიდენტ ზვიად

გამსახურდიას მემორიალის მოწყობის საკითხები, მერიისა და საკრებულოს შესაბამისი სამსახურების მიერ ამ პერიოდის განმავლობაში გარკვეული სამუშაები ჩატარდა ხსენებული ობიექტების შესარჩევ კონკურსებთან დაკავშირებით. მისასალმებელია, რომ აღნიშნული საკითხი და ობიექტების დამზადებისთვის საჭირო ფინანსური რესურსები კვლავაც გაწერილია 2022 წლის ბიუჯეტის არსებულ პროექტში. ხსენებულის გათვალისწინებით, საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის წარმოდგენილი რედაქციის, შენიშვნების გათვალისწინების მიზნით მერთან დაბრუნებას.

მეორე საკითხის განხილვისას მიხეილ ამაშუკელმა კომისიას გააცნო საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის გიორგი გიორგაძის წერილი. 2021 წელს XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენ ქალს ნონა გაფრინდაშვილს უსრულდება საიუბილეო თარიღი-80 წელი. ქართული საჭადრაკო საზოგადოების თხოვნაა ვერის ბაღში მდებარე ჭადრაკის სასახლეს მიენიჭოს ნონა გაფრინდაშვილის სახელი. დღემდე ცნობილი იყო, რომ ჭადრაკის სასახლე ატარებდა ნონა გაფრინდაშვილის სახელს,თუმცაღა სახელდება სამართლებრივად არ არის განხორციელებული.

კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს აღნიშნულ საკითხებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

მიხეილ ამაშუკელი